ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**g-73. 7324243001**
თარიღი:**30/08/2024**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის‘‘ 61-ე მუხლის საფუძველზე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1

1. გამოიყოს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის სააგიტაციო მასალის გასაკრევად და გამოსაფენად ადგილები თანდართული ნუსხის შესაბამისად (დანართი №1).
2. აიკრძალოს სააგიტაციო მასალის განთავსება ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული ადგილების გარდა სხვა შენობებსა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ შენობა-ნაგებობებზე.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ადგილების გარდა სააგიტაციო მასალა შეიძლება აგრეთვე გაიკრას და გამოიფინოს სხვა შენობა-ნაგებობებსა და ობიექტებზე (გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 2

1. ამ განკარგულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა, ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით.
2. ამ განკარგულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.
3. ამ განკარგულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი).
4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით განკარგულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნუსხის:

ა) „1-8“ პუნქტებით დადგენილ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 4 ცალით;

ბ) „9-103“ პუნქტებით დადგენილ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 1 ცალით.

მუხლი 3

1. განკარგულება გადაეგზავნოს №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიას.
2. განკარგულება (საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია) გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე

მუხლი 4

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 აგვისტოს №73.73212184 განკარგულება „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021 წლის 02 ოქტომბრის არჩევნებისათვის სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ“.

მუხლი 5

განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 6

ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: საჩხერე, აღმაშენებლის ქ.№3) განკარგულების ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ალექსანდრე ციცქიშვილი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი